



რას ნიშნავს ESG ინვესტირება?

რას ნიშნავს ESG ინვესტირება?

ავტორი: ია იაკობაშვილი

21-ე საუკუნეში ბიზნესი, განსაკუთრებით კი მსხვილი და ავტორიტეტული კომპანიებისთვის, მხოლოდ ფინანსურ მოტივატორთან აღარ ასოცირდება: ბიზნეს საქმიანობამ დიდი ხანია სოციალური პასუხისმგებლობის საკითხიც მოიცვა. ამ პერსპექტივის ფონზე აქტუალური გახდა ცნება, რომელსაც მსოფლიო ESG ინვესტიციის სახელით იცნობს. ESG სამი ინგლისური სიტყვის, Environmental, Social, Government აბრევიატურაა, და, შესაბამისად, ნიშნავს გარემოსდაცვითი, სოციალური და სამთავრობო ფაქტორების გავლენის მნიშვნელობას ფინანსური ინვესტიციის განხორციელებისას.

ბოლო პერიოდში ორგანიზაციების ESG-ის კრიტერიუმებით შეფასება აპრობირებული და გავრცელებული მეთოდი გახდა. თუმცა, ერთია საკითხის აქტუალურობა და მეორე - ბიზნესმენტა მოტივაცია ზემოხსენებული სტანდარტები პრაქტიკაში გამოიყენონ და დანერგონ. ქვემოთ სწორედ იმ მოტივატორებზე ვისაუბრებთ, რომლებიც ინვესტორებს ESG სტანდარტის გათვალისწინებისკენ უბიძგებთ:


ESG ინტეგრაცია

ეს ფაქტორი განსაკუთრებით მოქმედებს იმ კომპანიებზე, რომელთა აზრით, ESG-ს გამოყენებას გრძელვადიან პერიოდში შეუძლია გააუმჯობესოს მათი საქმიანობა. მსგავსი შედეგი შესაძლოა მოიტანოს თანხის ინვესტირებამ ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც ითვალისწინებენ და საქმიანობაში ნერგავენ გარემოსდაცვითი თუ სოციალური პოლიტიკის კარგ პრაქტიკას.

კომპანიებისთვის არსებობს სპეციალური „ESG ლიდერთა“ და „ESG ჩამორჩენილთა“ შესატყვისები. პირველი მათგანს ვუწოდებთ ისეთ კომპანიას, რომელიც ორგანიზაციის შიგნით უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას, მაშინ როდესაც „ჩამორჩენილები“ უკმაყოფილო მუშახელით და გაფიცვებით არიან ცნობილნი.

პიროვნული ღირებულებების თანხვედრა ბიზნეს საქმიანობასთან

ESG კრიტერიუმები მნიშვნელოვანია იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ მათ მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს პიროვნულ ღირებულებებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ამარტივებს ინდექსი სახელად MSCI World ESG Screened Index, რომელიც ზოგადი MSCI ინდექსიდან გამორიცხავს კონტრაბანდის, თამბაქოს, სათბობი წიაღისეულის მოპოვებით საქმიანობაში ჩართულ საექვო რეპუტაციის მქონე კომპანიებს. ინდექსი შესაბამისობაშია გაეროს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან და ფასილიტაციას უწევს მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის გატარებას კერძო სექტორის საქმიანობაში.



წყარო: visualcapitalist.com¹


¹ MSCI ESG Screened ინდექსი აღნიშნავს საექვო საქმიანობაში ჩართულ კომპანიებს

პოზიტიური ცვლილებების გამოწვევა

აღსანიშნავია ინვესტორთა მოტივაცია, გახდნენ გლობალურად მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების გამომწვევი მიზეზები. მსგავსი პრაქტიკა სოციალური პროგრესისკენ მიმართული ნაბიჯების მასტიმულირებლად გვევლინება.

ამის მაგალითია თანხის დაბანდება ისეთ საქმიანობაში, რომელიც ქალების, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების გაძლიერებას, მდგრადი განვითარების და მწვანე პოლიტიკის საკითხების წახალისებას ისახავს მიზნად.

ESG კრიტერიუმით შეფასებული კომპანიების მიერ ბაზრის ათვისების წილი რეგიონების მიხედვით 2012-2019 წლებში:



წყარო: oecd-ilibrary.org

როგორც ხედავთ, ESG ინვესტირების წილი მსოფლიო ეკონომიკაში თანდათან იზრდება. 2019 წლის მონაცემებით, აშშ-ში მცხოვრებ ინვესტორთა 84%-ს სურს მათი ფინანსური საქმიანობა და პიროვნული ღირებულებები თანხვედრაში იყოს, ხოლო 86%-ის აზრით, ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობაში აქტიურად იყენებენ ESG სტანდარტს, მეტად ეფექტურები და მოგებაზე ორიენტირებულნი არიან.

²PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული

განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

www.pmo-bc.com

(+995 32) 2 37 73 07

რაფიელ ერისთავის ქ.16

თბილისი, 0179, საქართველო



² მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com